

შპს პროფესიონალური საკალათბურთო
კლუბი „თბილისის დინამო“

2022 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს პროფესიონალური საკალათბურთო კლუბი „თბილისის დინამო“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2022-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2022	2021
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	18 509	21,322
არამატერიალური აქტივები		-	-
გრძელვადიანი ინვესტიციები	4	2 581 591	2,658,272
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 600 100	2,679,594
სასაქონლო მარაგები		8 458	10,637
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		23 933	32,670
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	13 117	15,780
სულ მოკლევადიანი აქტივები		45 508	59,087
სულ აქტივები		2645608	2,738,681
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	6	620 166	841,539
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		620 166	841,539
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები		116 505	243,694
საგადასახადო ვალდებულებები		2020	3,070
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		21 724	64,147
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		140 249	310,911
სულ ვალდებულებები		760 415	1,152,450
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	7	2,786,000	2,786,000
გაუნაწილებელი მოგება		(900 807)	(1,199,769)
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		1 885 193	1,586,231
განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი			
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2 645 608	2,738,681

შპს პროფესიონალური საკალათბურთო კლუბი „თბილისის დინამო“-ს
აღმასრულებელი დირექტორი: ბიქტორი კვიმსაძე

ბ. კვიმსაძე



შპს პროფესიონალური საკალათბურთო კლუბი „თბილისის დინამო“

კონსოლიდირებული მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი
ამონაგები		404812	225439
ამონაგების თვითღირებულება	8	(273449)	(518612)
საერთო მოგება		131363	(293173)
ადმინისტრაციული ხარჯები	9	(306988)	(345957)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	10	474587	590411
მოგება დაბეგვრამდე		298962	(48719)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		298962	(48719)
მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		298962	(48719)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის		-	-
მოგება/ზარალი		298962	(48719)

შპს პროფესიონალური საკალათბურთო კლუბი „თბილისის დინამო“-ს
აღმასრულებელი დირექტორი: ბიეტორი კვიმსაძე

ბ. კვიმსაძე



შპს პროფესიონალური საკალათბურთო
კლუბი „თბილისის დინამო“
ს/კ: 401963023

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022

შპს პროფესიონალური საკალათბურთო კლუბი „თბილისის დინამო“
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022
პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	არამაკონტრო ლებელი წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი - 01.01.2021	2,770,000	(1151060)	1618950	-	1618990
საწესდებო კაპიტალის ცვლილება გაცემული დივიდენდები პერიოდის მოგება	16000	- (48719)	- 16000	- -	16000 (48719)
ნაშთი - 31.12.2021	2786000	(1199769)	1586231	-	1586231
საწესდებო კაპიტალის ცვლილება გაცემული დივიდენდები პერიოდის მოგება		- 298962	- 298962	- -	- 298962
ნაშთი - 31.12.2022	2,786,000	(900807)	1885193	-	1885193

შპს პროფესიონალური საკალათბურთო კლუბი „თბილისის დინამო“-ს
აღმასრულებელი დირექტორი: ბიქტორი კვიმსაძე



შპს პროფესიონალური საკალათბურთო კლუბი „თბილისის დინამო“

სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი
შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

პროფესიონალური საკალათბურთო კლუბი „თბილისის დინამო“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 30/09/2011). საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, დიდმის მას., III კვ, (ნაკვ. N38/3).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სპორტული სკოლებით და კლუბებით მომსახურება. ხოლო დამატებით საქმიანობას წარმოადგენს სარეკლამო და საიჯარო მომსახურებები.

კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი: ბიქტორი კვიმსაძე (პ/ნ 620002019573)

კომპანიამ 05/12/2018-ში დააფუძნა შვილობილი კომპანია სკ დინამო თბილისი (ს/კ 402112236) რომლის 100%-იან წილის მფლობელსაც თავად წარმოადგენს. კლუბის დაფუძნების მიზეზს წარმოადგენდა „საკალათბურთო კლუბი დინამოს“ განვითარების ხელშეწყობა, სპორტ სკოლის განვითარება და კალათბურთელთა პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა.
დირექტორი: ბიქტორი კვიმსაძე (პ/ნ 620002019573)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

საანგარიშგებ

ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
1 აშშ დოლარი / ლარი	2.7020	3.0976
1 ევრო / ლარი	2.8844	3.5040

ამონაგების

აღიარება

ამონაგები საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების

გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი ამოორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი

საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ცვეთის წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 15%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15% შენობის იჯარით

გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური

აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების

გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური

ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა

მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და

ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებით მომუშავეთა

გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება. გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

3. ძირითადი საშუალებები

დასახელება	წმინდა საბალანსო დირებულება	წმინდა საბალანსო დირებულება
	2022 ლარი	2021 ლარი
ძალოვანი, თბოტექნიკური და ტურბინული მოწყობილობები	12880	14517
ოფისის აღჭურვილობა	-	99
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	1597	2189
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4032	4517
სულ	18509	21322

4. გრძელვადიანი ინვესტიციები

	2022 ლარი	2021 ლარი
მიწის ნაკვეთები	1,371,721	1,371,721
შენობები	1,209,870	1,286,551
სულ	2600100	2,658,272

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2022	2021
	ლარი	ლარი
ფული საბანკო ანგარიშებზე	13117	15780
სულ	13117	15780

6. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

	2022	2021
	ლარი	ლარი
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	620166	841539
სულ	620166	841539

7. საწესდებო კაპიტალი

	2022	2021
	ლარი	ლარი
საწესდებო კაპიტალი	2,786,000	2,786,000
სულ	2,786,000	2,786,000

8. ამონაგების თვითღირებულება

	2022	2021
	ლარი	ლარი
რეკლამის ხარჯები	0	0
მწვრთნელების შრომის ანაზღაურება	-202502	-423011
დარბაზის იჯარა	-8000	-3000
აგენტის მომსახურება	-	-2249
წყლის ხარჯი	-5800	-1560
მედიკამენტების ხარჯი	-689	-7228
სამედიცინო გამოკვლევის ხარჯი	-4606	-4991
ტრანსპორტირების ხარჯი	-1000	-9988
სპორტული ინვენტარის და ფორმების ხარჯი	-2358	-9690
სუპერ ლიგაში მონაწილეობის ხარჯი	-34125	-52100
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	-1998	-4795
ავიაბილეთების ხარჯი	-12371	
სულ	-273449	-518612

9. ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
	ლარი	ლარი
დასაქმებულთა ანაზღაურება	-142679	-141469
ცვეთა და ამორტიზაცია	-80764	-81995
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-83545	-122493
ს უ ლ	-306988	-345957

10. არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი

	2022	2021
	ლარი	ლარი
წმინდა შე მოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	141890	125089
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	75	13691
საქართველოს კალათბურთის ფედერაციის დაფინანსება	370000	530000
საპროცენტო შემოსავალი/ (ხარჯი)	-37378	-78369
ს უ ლ	474587	590411

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია
2022 წლის 12 სექტემბერს.

შპს პროფესიონალური საკალათბურთო კლუბი „თბილისის დინამო“-ს
აღმასრულებელი დირექტორი: ბიქტორი კვიმსაძე

